პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
პარასკევი
11 იანვარი
№ 8 (17653)
ფასი 2 კაპ.

ჩვენი ორიენტირია მაღალი ეფექტიანობა

ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კ. ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელთა 1980 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

კოლმეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, შარშან ბევრ შრომით წარმატებას მიაღწიეს. თითოეულ ჰექტარზე მოიწიეს 52 ცენტნერი მარცვლეული გეგმით გათვალისწინებული 30 ცენტნერის ნაცვლად, 215 ცენტნერი კარტოფილი გეგმით გათვალისწინებული 204 ცენტნერის ნაცვლად.

განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეებმა. თითოეულ ძროხაზე მიიღეს 3.648 კილოგრამი რძე, საგეგმო 3.260 კილოგრამის ნაცვლად, რაც 141 კილოგრამით მეტია, ვიდრე 1978 წელს. სახელმწიფოს მიეყიდა 4.730 ცენტნერი რძე — გეგმაზე 430 ცენტნერით მეტი, ამასთან მთელი პროდუქცია პირველი ხარისხისაა. საშუალო სადღეღამისო წონა-მატებამ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სუქების დროის 700 გრამი შეადგინა.

მთლიანად მეურნეობამ შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, კარტოფილის, მატყლის, თევზის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა.

ჩაება რა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის, სკკპ XXVI ყრილობის დირსეულად შეხვედრისათვის გაწეული სოციალისტურ შეჯიბრებაში, სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის კოლექტივი 1980 წლისათვის კისრულობს შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

— დროზე განახორციელოს ყველა აგროტექნიკური ღონისძიება, მიაღწიოს იმას, რომ თითოეულ ჰექტარზე მიიღოს 50 ცენტნერი მარცვლეული — გეგმაზე 20 ცენტნერით მეტი, კარტოფილი — 300 ცენტნერი, გეგმით გათვალისწინებული 200 ცენტნერის ნაცვლად.

— კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელების გზით პუნებრივი სათიბების თითოეულ ჰექტარზე მიიღოს 40 ცენტნერი პროდუქცია, გეგმაზე ერთიორად მეტი, მთლიანად უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯოგი უხეში და წვნიანი საკვებით;

— მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაადიდოს 460 სულამდე, წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა — 840 სულამდე, გეგმაზე გაცილებით მეტი;

— თითოეულ ძროხაზე მიიღოს 3.700 კილოგრამი რძე გეგმით გათვალისწინებული 3.260 კილოგრამის ნაცვლად, გაზარდოს ბატკნებისა და ხბოების ნამატი, თითოეულ ცხვარზე გეგმასთან შედარებით მიიღოს კილოგრამით მეტი მატყლი, საექსპლოატაციოდ გადასცეს ფარები 800 ცხვრისათვის;

— მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის სუქების დროს საშუალო-სადღეღამისო წონა-მატება გაადიდოს 750-800 გრამამდე, ჩაბაროს 410 კილოგრამი „საშუალო წონის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 40 კილოგრამი „საშუალო წონის ცხვარი. ჩაბაროს მხოლოდ პირველი ხარისხის რძე;

— 100 ჰექტარ სახნავ-სათესზე გაანგარიშებით აწარმოოს 370 ცენტნერი ხორცი, 1.740 ცენტნერი რძე. რძის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მეათე ხუთწლედის გეგმა შეასრულოს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის, ხოლო ხორცისა — 1980 წლის 1 ივლისისათვის.

დიდი ყურადღება დაეთმობა საზოგადოებრივი წარმოების, შრომის ნაყოფიერების ეფექტიანობის ამაღლებას, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება 5 პროცენტით, რენტაბელობის დონე ამაღლდება 4 პროცენტით. საექსპლოატაციოდ გადაეცემა სამბავშვო ბაღი 90 ბავშვისათვის და 24 ადგილიანი სასადილო.

სოციალისტური ვალდებულებანი განიხილეს და მიიღეს სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის საერთო კრებაზე.

ნდობა და დაფასება

მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

გუდაუთა. სოფელ დურიფშის კოლმეურნეობა „დურიფშის“ თავმჯდომარე **ივანე ხაშმის ძე ტარკილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გუდაუთის რაიონის № 377 ლიხნის საარჩევნო ოლქში დასახელებულია საარჩევნო კრებაზე, რომელიც კოლმეურნეობაში გაიმართა.

ფოთი. ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებლების ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 435 ჯავის საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **თამარ შალვას ასული კაბულოვა.**

თბილისი. ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ბარატი **დმიტრი ნიკოლოზის ძე მოსესოვი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 6 ლიკანის საარჩევნო ოლქში დასახელა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრებამ.

„თბილისსმრეწმშენის“ № 3 ტრესტის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის № 20 ჩელიუსკინელთა საარჩევნო ოლქში დასახელა ტრესტის მოწინავე მუშა **ვაჟა მიხეილის ძე დესპო

ერთსულოვნების ვითარებაში

მშრომელთა საარჩევნო კრებები

თბილისი. თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანების „განთიადის“ მოწინავე მუშა **გიორგი ბაგრატის ძე ჭუმბურიძე** ამ საწარმოს კოლექტივის მშრომელთა საერთო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის № 76 ნავთლუღის საარჩევნო ოლქში დაასახელეს გაერთიანების მოწინავე მღარავი **ვლადიმერ ივანეს ძე ვოლნი.**

ექსპერიმენტული თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივის საერთო კრებამ გადაწყვიტა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის № 27 ბელიაშვილის საარჩევნო ოლქში დაასახელოს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ბეგლარ დმიტრის ძე მახარაშვილი.**

ჟუთაისი. ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის მებეტონეთა ბრიგადის ბრიგადირი **ანზორ ნიკოლოზის ძე ვაჭარაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ქუთაისის ავტოსაქარხნო რაიონის № 259 გორის საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამ საწარმოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საარჩევნო კრებაზე.

რუსთავი. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში გამართული საარჩევნო კრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ რუსთავის № 178 მეტალურგთა საარჩევნო ოლქში დაასახელონ ქარხნის **დირექტორი ოთარ ნიკოლოზის ძე სუდაძე.**

სოხუმი. „ნოვოროსიისკზღვაგმენის“ ტრესტის № 9 მეურნავი სამშენებლო რაზმის კოლექტივმა თავის საარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ სოხუმის № 363 საარჩევნო ოლქში დაასახელა მოწინავე მეამწეები **ლუდმილა გერასიმეს ასული ოვჩაროვა.**

აფხაზეთის ასსრ:

სოხუმის საკოლმეურნეობათაშორისო გემთსარემონტო ქარხნის კოლექტივმა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 23 სასკოლო საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელა ელექტრომეგრაგნილეთა ბრიგადირი **სიმონ ბენეიონის ძე ქორიტნი.**

აჩიგვარის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მშრომელებმა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 125 აჩიგვარის პირველ საარჩევნო ოლქში დაასახელეს წარჩინებული ბრიგადირ-მექანიზატორი ლენინის ორდენოსანი **ნაზიბროლა ხუტას ასული ხასაია.**

აფხაზეთის პროფკავშირთა კურორტების მართვის საოლქო საბჭოს კოლექტივმა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს № 2 ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა საწარმოს მოწინავე ბრიგადირს **თინა ოსების ასულ მახარაძეს,** რომელიც აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ქალაქ ქობულეთის № 40 კიროვის საარჩევნო ოლქში.

ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირის კოლმეურნეობაში გამართულმა საარჩევნო კრებამ ერთსულოვნად დაადგინა, რომ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 58 ციხისძირის საარჩევნო ოლქში დაასახელოს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **ნოდარ მედის ძე ცეცხლაძე.**

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე **ლეილა მურადის ასული კუტბა** თანასოფლელებმა დაასახელეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 72 ფირის საარჩევნო ოლქში.

ქობულეთის რაიონის ხოფელ ქვედა აჭყვის მშრომელებმა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 59 ულიანოვკის საარჩევნო ოლქში დაასახელეს კოლმეურნეობის ბრიგადირი **შალიკო ქრისტეფორის ძე მერიციდი.**

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი:

ზახორის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა საარჩევნო კრებაზე სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინგორის რაიონის № 147 საარჩევნო ოლქში დაასახელა საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა **ნადია ნიკოლოზის ასული ხუბულოვა.**

ცხინვალის ქარხანა „ელექტროლამპა“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საარჩევნო კრებამ სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ცხინვალის № 28 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამ საწარმოს მომმართველი **ბორის ალიოშის ძე ფაფაევი.**

ზნაურის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზნაურის № 96 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამ მეურნეობის ახალგაზრდა მექანიზატორი **მზია ივანეს ასული ნადირაძე.**

სოფელ ეკეხის კოლმეურნეობაში გამართული საარჩევნო კრების მონაწილეებმა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცხინვალის რაიონის № 44 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამ მეურნეობის მოწინავე კოლმეურნე **ლაურა ვასილის ასული ბასიშვილი.** (საქინფორმი).

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ
ᲓᲔᲓᲚᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲨᲘ

ნიუ-იორკი. პრეზიდენტ ჯ. კარტერის გადწყვეტილებას გადაადებინოს სენატს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების განხილვა, აგრეთვე შეამციროს ამერიკის მხარის მოქმედების შედეგად უკვე ისედაც შეზღუდული ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, — საღად მოაზროვნე ამერიკელები მიიჩნევენ ვაშინგტონის ახლანდელი ადმინისტრაციის განდგომად საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკისაგან.

„პრეზიდენტ ჯ. კარტერის ახალ მკაცრ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ საშიში მომავალი აქვს“, — აცხადებს გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს კურსი წაადგება „ამერიკის შეერთებული შტატების 50-60-იანი წლების ტრადიციულ პოლიტიკას, რომელშიც თავადი ყურადღება სამხედრო კონფრონტაციას ეთმობოდა“.

„ისეთ პირობებში, როცა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა უაღრესად დაიძაბა, — ხაზს უსვამს თავის მხრივ „უოლსტრატ ჯორნელი“, — სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების რატიფიკაციის გადადების გადაწყვეტილება აჭარწყლებს მის ერთ-ერთ ძირითად მასტაბილიზებელ ფაქტორს“.

აქ აღნიშნავენ, რომ თეთრი სახლი ამაოდ ცდილობს „გავლენა მოახდინოს“ საბჭოთა კავშირზე იმ დისკრიმინაციულ ღონისძიებათა განხორციელების გზით, რომლებიც სამოლოო ანგარიშით თვით შეერთებულ შტატებსვე ეხება“.

ბიზნესმენები სკეპტიკურად უყურებენ იმას, რომ საექსპორტო შეზღუდვებმა რაიმე სარგებლობა მოიტანოს, წერს „უოლსტრატ ჯორნელი“. „ევროპის შეზღუდვებს, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი ბანკის „ბენკ ოფ ამერიკას“ პრეზიდენტმა ო. უ. კლაუზენმა, — თვითდამანგრეველი ეფექტი აქვს. ახლანდელ პირობებში ასეთ მოქმედებას შეიძლება შედეგად მოპყვეს მხოლოდ ნეგატიური შედეგები. და წაგებული აღმოჩნდება მხოლოდ და მხოლოდ ამერიკული ბიზნესი და დოლარი“.

ამერიკის პრესას უპირსპექტივოდ მიაჩნია შეერთებული შტატების ცდები ჩაითრიოს გაჩაღებულ ანტისაბჭოთა კამპანიაში დასავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებსაც ვაშინგტონი „ცივი ომის“ სულისკვეთებით გამსჭვალული პროგოკაციების წინა პლანზე უბიძგებს და სურს მათი ხელით განახორციელოს მშვიდობის ინტერესებისადმი თავისი მტრული გეგმები.

„ევროპელებისთვის, — წერს „უოლ-სტრატ ჯორნელი“, — დაძაბულობის შენელებას საგრძნობი სარგებლობა მოჰქონდა. იგი არა მარტო უწყობდა ხელს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვაჭრობის განვითარებას, არამედ დააცხრო კიდეც დაძაბულობა ევროპის კონტინენტზე“. „ევროპულ ქვეყნებს ამერიკის შეერთებულ შტატებზე გაცილებით უფრო აწუხებთ „ცივი ომის“ ხანის დაბრუნება“, — აღნიშნავს გაზეთი „ნიუსდეი“.

ბონი. „შევინარჩუნოთ დაძაბულობის შენელება“. „არ დავუშვათ „ცივი ომის“ ხანის დაბრუნება!“ — ასეთი მოწოდებით მიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელებს გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გოტფიმ. ნატოს მმართველი წრეები, წერს იგი სტატიაში, რომელიც გაზეთმა „უნზერე ცაიტმა“ გამოაქვეყნა, ისწრაფვიან მიაღწიონ სამხედრო უპირატესობას სოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით, რევანში აიღონ „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისაკენ 70-იანი წლების დამდეგს მომხდარი შემობრუნებისათვის, მსოფლიოს ბევრ ნაწილში იმპერიალიზმის დამარცხებისათვის.

ამას მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის ნაწილობრივ გადადოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ჩვენ, კომუნისტები, ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ძალებს მოვუწოდებთ საკადრისი პასუხი გასცენ თვალთმაქცურ პროპაგანდას, არ დაუშვან „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის აღორძინება. საჭიროა ერთად ვიმოქმედოთ, რათა დავიცვათ დაძაბულობის შენელების პროცესი, ჩავშალოთ ნატოს საბჭოს სესიის იმ საშიშ გადაწყვეტილებათა განხორციელება, რომ განაგრძოს დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტები.

პარიზი. „ვაშინგტონი „ცივი ომის“ იმედით არის“ — ასეთი სათაურით აქვეყნებს გაზეთი „ლუმანიტე“ სტატიას, რომელშიც კომენტარს ურთავს თეთრი სახლის მიერ გამოცხადებულ დისკრიმინაციულ ღონისძიებებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის დარგში. „ეს ღონისძიებანი „ცივი ომის“ სულისკვეთებით არის გამსჭვალული“, ხაზს უსვამს „ლუმანიტე“. ამერიკის მთავრობა, წერს იგი შემდეგ, აძლიერებს თავის მოკავშირეებზე მოქმედებას, რათა მხარი დაუჭირონოს მათ თავისი ღონისძიებებისათვის, ამავე დროს პრეზიდენტ ჯ. კარტერს საქმე საომარი სამზადისის ესკალაციისაკენ მიჰყავს.

ტოკიო. იაპონიის საქმეთა წრეებს ფრიად ეეჭვებათ, რომ ეფექტიანი გამოდგეს ამერიკის შეერთებული შტატების „ბოიკოტი“ ზიდეონის ჯ. კარტერის მიერ გამოცხადებული ღონისძიებანი სსრ კავშირთან ეკონომიკური და სხვაგვარი ურთიერთობის შეზღუდვის შესახებ. გაზეთი „ტოკიო სიმბუნი“ იმოწმებს ოფიციალური წარმომადგენლობისა და ბიზნესმენების გასინჯვა-თქვამებს და დღეს წერს: „ამერიკის ახლანდელი ნაბიჯი ორლესული მახვილია. იგი, უწინარეს ყოვლისა, ძნელ მდგომარეობაში ჩააყენებს თვით შეერთებულ შტატებს. საბჭოთა კავშირი კი შეძლებს სრულად დაძლიოს ამ ღონისძიებათა შედეგები“.

იაპონიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა სიგეო ნაგანომ ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „ამ ეტაპზე ჩვენ არ ვაპირებთ იაპონია-სსრ კავშირის ეკონომიკური თანამშრომლობის ურთიერთობის - არც შეცვლას და არც შეწყვეტას“.

ლონდონი. პრეზიდენტ ჯ. კარტერის გადაწყვეტილება — წინააღუდგეს სსრ კავშირთან საავაჭრო კონტრაქტების სრული მოცულობით რეალიზაციას, დაღს დაასვამს დასავლეთის იმ კომპანიების საქმიან აქტიურობას, რომლებიც საზღვაო გადაზიდვებზე არიან დასპეციალებულნი. ასეთი დასკვნა გამოაქვს ინგლისურ გაზეთს „ფაინენშლ ტაიმსს“.

ᲒᲛᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲨᲘᲨ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ

ამერიკა-ირანის ურთიერთობის გამო

ნიუ-იორკი, 9 იანვარი. შეერთებული შტატები სულ უფრო აძლიერებს ზემოქმედებას სხვა ქვეყნებზე და განგაშრობს მანევრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რათა უშიშროების საბჭომ მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაწესოს ირანის წინააღმდეგ. ამ მანევრებს მიმართავენ მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღიარა, ირანიდან დაბრუნებული ბევრი ამერიკელის თქმით, სანქციების დაწესება „ძირს გამოუთხრის მეცადინეობას თეირანში დატყვევებული ამერიკელი მძევლების განთავისუფლების მიზნით მოლაპარაკების ორგანიზაციისათვის“.

სსრ კავშირმა, ისევე როგორც ბევრმა სხვა ქვეყანამ, უკვე აღიარეს ირანის „განცხადება, რომ ამერიკა-ირანის დავა მშვიდობიანი საშუალებით უნდა მოწესრიგდეს. ეტყობა, ვაშინგტონში ანგარიშს არ უწევენ იმას, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ირანის ეკონომიკური ბოიკოტის დაწესებას და მასზე ზეგავლენის მოხდენას. რაც შეეხება სსრ კავშირს, იგი ვერ შეურიგდება, რომ ირანის საშინაო საქმეებში ერეოდნენ და არ მისცემს ნებას ამერიკის შეერთებულ შტატებს თავს მოახვიოს უმიშროების საბჭოს გადაწყვეტილება ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გამოყენების შესახებ.

ვაშინგტონი, 9 იანვარი. ამერიკის სამხედრო ხომალდების ტაქტიკური ჯგუფი ბირთვული რაკეტული კრეისერის „ლონგ ბიჩის“ მეთაურობით კალიფორნიის შტატის სან-დიეგოს ნავსადგურიდან გამოვიდა და დასავლეთისაკენ აიღო კურსი.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენელმა უარი თქვა გაემხილა, თუ სახელდობრ საით გაეშურნენ ამერიკის საბრძოლო ხომალდები, მაგრამ, როგორც მიმომხილველნი აღნიშნავენ, მათი გადაადგილება გამოწვეულია ამერიკის შეერთებული შტატების მზადებასთან „ახლო აღმოსავლეთში სამხედრო აქციისათვის“.

სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ახლახან მოაწყვეს ერთობლივი მანევრები, რომელთა დროსაც გამოიყენეს უახლესი და ყველაზე ძვირად ღირებული ამერიკული სამხედრო ტექნიკა, მათ შორის, „ავაქსის“ გაფრთხილებისა და კონტროლის ელექტრონული საჰაერო სისტემის თვითმფრინავები. ასეთი წვრთნა გაგრძელდება, ხაზგასმით არის აღნიშნული ამერიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების განცხადებაში.

პრესა დიდ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ამერიკა-ეგვიპტის მანევრების სამზადისი და თვით მათი მოწყობის ფაქტი უკანასკნელ დრომდე უაღრესად დასაიდუმლოებული იყო და მხოლოდ მას შემდეგ გამოაცხადეს, რაც ეს ამბავი პრესამ შეიტყო. მიმომხილველნი ამ მანევრებს პირდაპირ უკავშირებენ ვაშინგტონის განზრახვას გამოიყენოს ეგვიპტის ტერიტორიაზე არსებული ბაზები ახლო აღმოსავლეთში სამხედრო ოპერაციების მოსაწყობად, უწინარეს ყოვლისა, ირანის წინააღმდეგ.

და ყოველივე ამას ჯ. კარტერი „მშვიდობის აქციას“ უწოდებს. მაშ, რაღა შეიძლება ეწოდოს სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ შანტაჟს?

ყველაფერს, რასაც ამერიკის ადმინისტრაცია აკეთებს ახლო აღმოსავლეთის რაიონში, აკეთებს ამერიკის იმპერიალიზმის ინტერესებისათვის, და არა, როგორც ჯ. კარტერი ამტკიცებს, „ისლამის დაცვის“ ინტერესებისათვის.

თეირანი, 9 იანვარი. იმის მაგვარად, რომ კონსტრუქციული ღონისძიებანი განახორციელოს ირან-ამერიკის ურთიერთობაში კრიზისის გადასაწყვეტად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კიდევ უფრო აღვივებს ანტიირანულ ისტერიას, მიმართავს ახალ-ახალ აქციებს ირანის რევოლუციის ჩახშობის მიზნით, განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ისლამური რევოლუციური საბჭოს წევრმა აიათოლა ბეჰეშთიმ. ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღებაზე ვაშინგტონის მუქარის პასუხად მან თქვა: ირანის ხელმძღვანელობამ ამ შემთხვევისთვის უკვე განახორციელა საჭირო ღონისძიებები და გამოთქვამს რწმენას, რომ ირანი გაუძლებს ეკონომიკურ ბოიკოტს.

ირანის დედაქალაქში 9 იანვარს გაიმართა მრავალთასიანი საპროტესტო მარში იმის გამო, რომ ამერიკის იმპერიალიზმი განუწყვეტლივ ერევა ირანის საშინაო საქმეებში. დემონსტრანტთა კოლონები მივიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან და ერთხმად გაიძახოდნენ ანტიამერიკულ ლოზუნგებს, მოითხოვდნენ ყოფილი შაჰის ირანისათვის გადაცემას.

ᲥᲐᲑᲣᲚᲘ. ამ ბოლო დროს საზღვარგარეთიდან ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფარულად გაზიდეს ათას ერთეულზე მეტი სხვადასხვა იარაღი, რომლითაც ავღანელი კონტრრევოლუციონერები გამოდიან ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის წინააღმდეგ.

სურათზე: ავღანელი კონტრრევოლუციონერებისათვის ჩამორთმეული იარაღი.

საკადრ-საქინფორმის ტელეფოტო.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

დელი. 10 იანვარი. უკვე მთლიანად შეჯამდა ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების „ენჭესყრის შედეგები. „ეს არჩევნები 3 და 6 იანვარს მოეწყო 524 საარჩევნო ოლქში.

ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიამ, რომელსაც ინდოეთის ფეოდალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე ინდირა განდი მეთაურობს, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 351 ადგილი მოიპოვა 544-დან. მოელიან, რომ ხვალ ინდოეთის პრეზიდენტი ნ. ს. რედი ინდირა განდის წინადადებას მისცემს შეადგინოს ქვეყნის ახალი მთავრობა.

ამ არჩევნებში დიდ წარმატებას მიაღწიეს მემარცხენე პარტიებმა, რომლებიც ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ. მათ სახალხო პალატაში ეყოლებათ 54 დეპუტატი, აქედან 11 დეპუტატი — ინდოეთის კომუნისტური პარტიისაგან და 35 დეპუტატი — ინდოეთის კომუნისტური (მარქსისტული) პარტიისაგან.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ — ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲚ ᲙᲝᲜᲢᲠᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲡ

დაკა, 9 იანვარი. (საკდესი). ისლამაბადიდან მიღებული ცნობების თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ აწვდის იარაღს და სამხედრო აღჭურვილობას შეიარაღებული კონტრრევოლუციურ შენაერთებს, რომლებიც პაკისტანის ტერიტორიიდან ახორციელებენ აგრესიას ავღანეთის წინააღმდეგ. აქ ცნობილი გახდა, რომ ტელევიზიით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ ამერიკელებმა პაკისტანის მთავრობას შესთავაზეს გააფართოონ შეიარაღების მიწოდება ბანდიტთა შენაერთებისათვის. კრძოდ, წინადადება მისცეს, რომ ასეთი მიწოდება განხორციელდება ჩინეთის მეშვეობით.

როგორც საქმეში ჩახედული წრეები ამტკიცებენ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პაკისტანის მთავრობას შეატყობინა, რომ ამ საკითხზე ჩინეთის მოელაპარაკებან პეკინში შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის ჰ. ბროუნის ვიზიტის დროს. იგივე წყაროებიდან მიღებული ცნობების მიხედვით, ჩინეთი დათანხმდა პაკისტანში გაგზავნოს მნიშვნელოვანი რაოდენობის იარაღი და ტყვია-წამალი. მათი პაკისტანში გატანისათვის იყენებენ ყარაყორუმის გზატკეცილს, რომელიც ეს ბოლო თვეებია დახურეს უცხოელებისა და თვით ადგილობრივი ტურისტებისათვის. პაკისტანის ჯარები დარაჯობენ ამ გზატკეცილს პაკისტანის მონაკვეთზე.

ცხადია, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს წააქეზოს პაკისტანის მთავრობა და გაიფარეთოებინოს შეიარაღებული ჩარევა ავღანეთის საქმეებში, რაც, როგორც ადგილობრივი პოესა აღნიშნავს, აშკარად ეწინააღმდეგება პაკისტანის ეროვნულ ინტერესებს.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ანკარა. თურქეთის მოსახლეობამ 1979 წლის ბოლოსათვის, ოფიციალური მონაცემებით, თითქმის 44 მილიონს მიაღწია. მოსახლეობის ყოველწლიური მატება 2,3 პროცენტს შეადგენს.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲡᲐᲠᲓᲐᲞᲔᲠᲐ

ქაბული, 9 იანვარი. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მისამართით მოდის წერილები ავღანეთში მცხოვრები სხვადასხვა ტომის უფროსებისა და ხელმძღვანელთა. ეს წერილებში ისინი — სრულ მხარდაჭერას აუცხადებენ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელობას და მის მიერ წამოყენებულ ვრცელ და ჭეშმარიტად რევოლუციურ პროგრამას, რომლის განხორციელება ხელს უწყობს ავღანეთის ყველა ხალხისა და ეროვნების ერთობისა და ძმობის ყოველმხრივ განმტკიცებას, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას. ეს განაცხადა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებისა და ტომების საქმეთა მინისტრმა ფაიზ მუჰამედმა.

ავღანეთის 15 მილიონზე მეტი მოსახლეობიდან მომთაბარე ტომების, უმთავრესად პუშტუნების რიცხვი დაახლოებით 3 მილიონია. მათგან უდიდესი დურანის, გილზაის, ყარანის, ვაზირთა, შინვარის ტომობრივი გაერთიანებანი. იმპერიალისტები და მათი ხელშემწყობნი ცდილობდნენ გაეთიშათ ავღანელი ხალხი, ხელი შეეშალათ მისი ბრძოლისათვის უკეთესი ცხოვრების მისაღწევად და თავდადგე იმედს ამყარებდნენ, რომ ტომებს შორის მტრობასა და შუღლს გაალვივებდნენ, სხვადასხვა ტომს ერთმანეთის წინააღმდეგ ამხეცდრეულნენ და ტომებს ცენტრალურ მთავრობას დაუპირისპირებდნენ.

ავღანეთის გარეშე მტრები დღესაც აქტიურად განაგრძობენ ამ ანტიხალხურ ძირგამომთხრელ პოლიტიკას. მაგრამ ახლანდელ პირობებში, როცა აპრილის **რევოლუციის** ახალი ეტაპი დაიწყო, რომელსაც ახასიათებს მთელი ხალხის მტკიცე ერთიანობა, ტომების უმრავლესობისათვის სულ უფრო ნათელი ხდება, თუ ვინ არის მათი მტერი და ვინ — მეგობარი. ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან ჩაებან საერთო-ეროვნულ ბრძოლაში პროგრესული რევოლუციური გარდაქმნების განხორციელებისათვის. ამ მხრივ დამახასიათებელია პუშტუნთა ტომების ერთ-ერთი უფლაზე ავტორიტეტული უხუცესის გაფარ ხანის გამოსათქვამი. „აპრილის რევოლუციამ, — თქვა მან, — ყველა ავღანელს, რომელ ტომსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, ბედნიერი ცხოვრების გზა გაუხსნა“.

ავღანეთის რევოლუციური მთავრობა ადგენს იმ ღონისძიებათა ფართო პროგრამას, რომელთა მიზანია ტომების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, ხოლო ტომები, თავის მხრივ, სულ უფრო აქტიურად ცხადყოფენ, რომ მზად არიან მთელ ხალხთან ერთად მონაწილეობა მიიღონ ახალი ცხოვრების მშენებლობაში, ხაზი გაუსვა დასასრულ ფაიზ მუჰამედმა.

სესიამ მუშაობა დაამთავრა

ნიუ-იორკი, 9 იანვარი. აქ მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXIV სესიამ. სესიამ ცხადყო, რომ სახელმწიფოთა უმმავლესობა პასუხისმგებლობით ეკიდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის მთავარ, საკვანძო მიმართულებებს, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებასა და გამალებული შეიარაღების შეზღუდვას.

საბოლოო სხდომაზე სესიამ მექსიკა აირჩია გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს დროებთს წევრად. ამ არჩევის წინ გამართულ ღია ინური ამერიკის ჯგუფის თათბირზე მიაღწიეს მორიგებას, რომ კუბა და კოლუმბია მოხსნიან თავიანთ კანდიდატურებს მექსიკის სასარგებლოდ. ამ მორიგებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი რეგიონულმა ჯგუფმა. მექსიკის არჩევის შემდეგ სესია ოფიციალურად დაიხურა.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ

ბონი, 10 იანვარი. ყოველი წლის დამდეგს დასავლეთგერმანელი კომუნისტები გერმანელთა კომპარტიის კვირეულს აწყობენ. კვირეულის მთავარი მიზანია განუმარტონ მოსახლეობის ფართო ფენებს, თუ რა ამოცანებს ისახავს გერმანელთა კომპარტია დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების შეზღუდვისათვის, მშრომელთა დემოკრატიული და სოციალური მონაპოვრების დასაცავად, მუშათა კლასის უფლებებზე კონცერნების შეტევის წინააღმდეგ ბრძოლაში. კვირეული იხსნება ტრადიციული შეხვედრით, რომელსაც ვ. ი. ლენინის, კ. ლიბკნეხტის, რ. ლუქსემბურგის სახელი ეწოდა. ამჯერად შეხვედრა გაიმართება ქვეყნის უდიდეს სამრეწველო და სანავსადგურო ცენტრ ჰამბურგში.

გაზეთმა „უნზერე ცაიტმა“ გამოაქვეყნა გერმანელთა კომპარტიის გამგეობის სამდივნოს და პრეზიდიუმის მოწოდება, რომელშიც აღნიშნულია, რომ წელს გერმანელთა კომპარტიის კვირეული გაიმართება 19-27 იანვარს.

ჩვენ, ხაზგასმულია მოწოდებაში, გერმანელთა კომპარტიის ახლანდელ კვირეულს ვაწყობთ იმ მომენტში, როცა ნატო, ახორციელებს რა აქტიური შეიარაღების პროგრამას, ისწრაფვის გააქარწყლოს დაძაბულობის შენელების პოლიტიკის შედეგები, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების ანტიხალხური ძალები აძლიერებენ თავიანთ პროპაგანდას ანტიიმპერიალისტური, განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ.

გერმანელთა კომპარტიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მშვიდობისათვის, მოსახლეობის საარსებო უფლებებისათვის ბრძოლის პარტია — გერმანელთა კომპარტია მოუწოდებს აქტიურად იბრძოლონ ნატოს იმ გადაწყვეტილების განხორციელების წინააღმდეგ, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განალაგოს საშუალო სიშორის ახალი ბირთვული რაკეტები.

საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა წინააღვუდგეთ ნატოს მიერ ბრიუსელში მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ხაზგასმულია მოწოდებაში.

ᲔᲚᲩᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲙᲐᲛᲞᲣᲩᲘᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲛᲣᲜᲔᲑᲡ

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲐᲛᲞᲣᲩᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲗ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ მკითხველებს სთავაზობს სსრ კავშირში კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ᲙᲔᲚ ᲞᲠᲐᲡᲐᲢᲘᲡ ინტერვიუს, რომელიც ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტებს ა. ოლენინსა და ა. ქარჩავას მისცა.

— ამ ბოლო ხანს ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობა გამოჩნდა კამპუჩიაში შექმნილი ვითარების გამო. განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ სურსათ-სანოვაგის პრობლემებზე. რას იტყოდით ამის შესახებ?

— პირდაპირ უნდა მოგახსენოთ: ამჟამად ჩვენს ქვეყანაში სურსათ-სანოვაგის პრობლემა მართლაც ძალზე გამწვავდა. რატომ წამოიჭრა იგი? ვისი ბრალია ეს? აი აქ აყალბებენ და ამახინჯებენ ფაქტებს. ამ კითხვებზე მხოლოდ ერთი პასუხია: ყოველივე ეს ქხმერი ხალხის მიერ დამხობილი ჯალათური რეჟიმის მესვეურთა ბრალია. შარშანწინ პოლ პოტ-იენგ სარის ხროვამ ბრინჯის მარაგის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩინეთს გაუგზავნა. სხვათა შორის, ეს ნებისთვის თუ უნებლიეთ დაადასტურა ამერიკის იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტომ ცნობაში, რომელიც გასული წლის 13 მაისს გაუგზავნია ბანგკოკიდან. თავიანთი დამარცხების წინ კი ჯ

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, რესპუბლიკის ყველა ეროვნების მშრომელთა ნებასა და ინტერესებს გამოხატავს.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციიდან.



სურათებზე: წინა საარჩევნო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ვენერა წიფილაძე; ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარის კოლმეურნეობის მწველავი ნათელა ბოლქვაძე; ბათუმის საზღვაო ნავსადგურის უფროსი ელექტრიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი ბეჟან ზვედელიძე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეგენდების მხარეა აჭარა, სავსე დიდებული სანახებით, აქ ლამაზ სიმღერებს მღერიან და, ვისაც ისინი მოუსმენია, უთუოდ უგრძნია სიცოცხლის სიხარული, განუცდია ბუნების მშვენიერება, ჩასწვდომია წინაპართა სიბრძნეს და მათს ვაჟკაცურ შემართებას. საუკუნეების მანძილზე ცეცხლითა და მახვილით, ულმობელ მტერთან შეუპოვარი ბრძოლითა და თავგანწირვით იწერებოდა ამ მხარის ისტორია. განსაკუთრებით მძიმე და აუტანელი იყო დიდასამშობლო სგან მოწყვეტა და ასიმილატორთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდი. მტერი ჩეხდა ბაღვენახებს, ნასოფლარად აქცევდა სოფლებს, ანადგურებდა ტყეებს, მაგრამ მაინც ვერ გატეხა ხალხის სული, ქართველი მაინც ქართველობდა და მახვილს ხელიდან არ უშვებდა.

1878 წელს აჭარა მეორედ დაიბადა. იგი დედასამშობლოს დაუბრუნდა, ბოლო მოეღო ცრემლსა და სისხლისღვრას, მრავალტანჯულმა კუთხემ შვებით ამოისუნთქა. მაგრამ აჭარას ნამდვილი განთიადი მხოლოდ 1921 წლის 18 მარტს დაუდგა, როცა ბათუმში აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების დროშა.

დღეს იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკაა, მძლავრი მრეწველობითა და განვითარებული სოფლის მეურნეობით. მას ედემის ბაღს ამსგავსებენ. და ეს წალკოტი შექმნა მშრომელთა ინტერნაციონალურმა ოჯახმა, ათიათასობით ადამიანის მუხლჩოხრილმა, უანგარო და თავდადებულმა შრომამ.

დიახ, ორმოცდაათიოდე წელიწადში აჭარამ . არნახულ წარმატებებს მიაღწია. მისი ქალაქები და სოფლები, ხასხასა ჩაის პლანტაციები და ბარაქიანი ბაღები ხელოვანთა შთაგონების წყარო გახდა. აჭარას უმღერეს გალაკტიონ ტაბიძემ და სიმონ ჩიქოვანმა, პაოლო იაშვილმა და პიციან ტაბიძემ...

ჯადოსნური ფუნჯით მოხატული კუთხის საზღვარი ზღვისპირეთიდან იწყება და გოდერძის უღელტეხილამდე, ალპურ ზონამდე აღწევს. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია 2,9 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობამ 355 ათასს გადააჭარბა. აჭარის დედაქალაქში — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საბაზო ქალაქ ბათუმში 135 ათასი კაცი ცხოვრობს.

მრეწველობაში დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის დანერგვამ შექმნა საწარმოო სიმძლავრეთა სრული გამოყენებისა და ახალი რეზერვების ამოქმედების კარგი პირობები.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს რომ ახორციელებდნენ, მრეწველობის მუშაკები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდნენ ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. საგრძნობლად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის თვითღირებულების დავალებები, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

აჭარის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგებია მეციტრუსეობა, მეჩაიეობა და მეთამბაქოეობა. ამ მხრივ ჩვენი სოფლის მშრომელებს, მართლაც, რომ ბევრი რამ აქვთ საამაყო.

რას წარმოადგენდა რევოლუციამდელი აჭარის სოფლის მეურნეობა? ეს იყო აგრარული, ჩამორჩენილი, ჯესა და თოხზე დამყარებული მიწათმოქმედება. განვითარებული არ იყო არც ერთი დარგი. უწიგნურობა, უუფლებობა, უკიდურესი სიღატაკე — აი მაშინდელი გლეხკაცის ხვედრი. აჭარის სახელმწიფო და ბობოყვათის საკოლმეურნეო მუზეუმების ექსპონატები მაშინდელ სოფელზე ნათელ წარმოდგენას იძლევა. ისლით დახურული ფაცხები, სიმინდის ყანაში წვივამდე წყალში ჩამდგარი გლეხკაცი — აი, მაშინდელი ცხოვრების ტიპური სურათი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა გასაქანი სუბტროპიკული კულტურების განვითარებას. წარსულს ჩაბარდა ადრინდელი სიღატაკე. გაიკაფა ეკალ-ბარდით დაფარული გორაკები, ამოაშრეს დაჭაობებული დაბლობები. გამრჯე მარჯვენამ გარემოს სახე უცვალა, კოლექტიურმა შრომამ, მექანიზაციის სიკეთემ და მინერალური სასუქებით სოფლის მეურნეობის მომარაგებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ახლა ყველგან თვალწინ გადაგეშლებთ ტყესავით დაბურული ციტრუსის ბაღები და ზღვასავით გაშლილი ჩაის პლანტაციები. ადამიანთა დასახმარებლად ტექნიკა მოვიდა. მარტო ოჩხამურის სპპტეო ნიშნის ორდენოსან საბჭოთა მეურნეობას სამასამდე მანქანა-ტრაქტორი აქვს. კულტივაცია, გასხვლა, კრეფა მანქანებით ხდება. მეურნეს მძიმე შრომა შეუმსუბუქდა. გლეხკაცმა სუბტროპიკული კულტურების კარგი მოვლა-პატრონობა ისწავლა და ახლა მასობრივად მოჰყავს სარეკორდო მოსავალი. მეჩაიეებმა და მეციტრუსეებმა ხუთწლიანი გეგმები ოთხ წელიწადში შეასრულეს. მარტო შარშან სახელმწიფოს მიეყიდა 61.454 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი და 172 ათასი ტონა ციტრუსი. ასეთი დიდი მოსავალი ჯერ არასდროს არ ყოფილა.

როგორც ცნობილია, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მიწათმოქმედთა თავდადებულ შრომას. რესპუბლიკის საერთო წარმატებებში მნიშვნელოვანია აჭარის სოფლის მშრომელთა წვლილი. ამჟამად აჭარაში ციტრუსებს 7.415 ჰექტარი უჭირავს. არის მეურნეობები, რომელთაც ჰექტარზე საშუალოდ 20-25 ტონა ნაყოფი მოჰყავთ. მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ჩაქვის, ციხისძირის, მეჯინისწყლის, მახინჯაურის და სხვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეციტრუსეებმა. პარტიამ მიიღო დადგენილება სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესახებ. ეს ახალ ამოცანებს უსახავს აჭარის სუბტროპიკული ზონის მშრომელებს. პარტიის მოწოდებას ჩვენ ახალი შრომითი წარმატებებით ვუპასუხებთ. მეციტრუსეთა მსგავსად დიდია აჭარის მეჩაიეთა შრომითი შედეგები. მარტო ის რად ღირს, რომ ოჩხამურელი მექანიზატორის კ. სეფისკვერაძის რგოლის თითოეული წევრი ყოველწლიურად თითქმის 100 ტონა ჩაის კრეფს. ოჩხამურელთა საშუალო ჰექტარობრივმა მოსავალმა 11 ათას კილოგრამს გადააჭარბა. სარეკორდო მოსავლის მოყვანა ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ჩაის ცნობილი ვეტერანების, სოციალისტური შრომის გმირების ა. ჯიჯავაძის, ე. ზაქარაიძის, დ. ქათამაძისა და სხვათა მაგალითზე იზრდებიან ახალგაზრდები. ახლა ასობით მეჩაიე ყოველწლიურად 10 ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს კრეფს.

წინა წლებში აჭარის მეთამბაქოეებმა 3.000 ტონამდე თამბაქო მიჰყიდეს სახელმწიფოს, ახლა მათ იგალდებულეს ეს მაჩვენებელი 3.350 ტონამდე გაზარდონ. ამჟამად ბევრია ისეთი მეთამბაქოე, რომელიც ყოველწლიურად 1000 კილოგრამამდე ხმელ თამბაქოს აბარებს სახელმწიფოს.

წარმატებებია მოპოვებული მეცხოველეობაში და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში. აჭარის მაღალმთიან რაიონებში ფართოდ გაიშალა მუშაობა მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებისა და მშრომელთა ცხოვრების სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისათვის. ეს მუშაობა მიმდინარეობს „აჭარის ასსრ მაღალმთიან რაიონებში სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე. კოლმეურნეობათა გამსხვილებამ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაერთიანებამ, მეცხოველეობის კომპლექსებისა და სასუქებელი მოედნების შექმნამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. რენტაბელური გახდა სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი, მთის ყველა კოლმეურნეობა მოგებით ამთავრებს სამეურნეო წელს.

მეათე ხუთწლედის დარჩენილ დროში და მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია მწყობრში ჩადგეს უფრო მეტი ახალი ობიექტი, ვიდრე განვლილ ათწლეულში აშენდა. ახალ ფერმებს ექნება ვეტერინარული მომსახურების პუნქტები. სოფლებში აშენდა ათობით ახალი სკოლა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება და მომსახურების ობიექტი.

დიდი პერსპექტივები ისახება მაღალმთიანი რაიონების მრეწველობის განვითარებისათვის. ხულოში შენდება ბათუმის სამკერვალო გაერთიანების ფილიალი, რომელსაც 500 სამუშაო ადგილი

ექნება, რაც მნიშვნელოვანწილად გადაწყვეტს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პრობლემას. ქედაში ფართოვდება ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ფილიალი.

გაუმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, აიგება ცხრა რაიონული და საუბნო საავადმყოფო, მათ შორის ბავშვთა საავადმყოფო.

აჭარის მთის რეგიონებსა და დაბლობი რაიონის სუბტროპიკული ზონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ დონეს შორის განსხვავება უფრო და უფრო მცირდება. მთამ ზღაპრულად იცვალა სახე. ახლა მთის რაიონებს ვუკავშირდებით კეთილმოწყობილი გზებით, ყველგან აიგო სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების ახალი ობიექტები, ოჯახებში აციმციმდა ცისფერი ეკრანი, კოლმეურნეებმა შეიძინეს საკუთარი ავტომანქანები.

ასეთია ახლა აჭარის მთა!

როგორ მივაღწიეთ ასეთ წარმატებებს სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში? პარტიის საგეგმო-ეკონომიკური პოლიტიკის ბაზაზე ჩვენმა ქვეყანამ მოკლე ისტორიულ პერიოდში არნახული გამარჯვებები მოიპოვა. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილმა ისტორიულმა დადგენილებამ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ, გადამწყვეტი როლი შეასრულა ავტონომიური რესპუბლიკის ცხოვრებაში. ეს იმის ნათელი დადასტურებაა, რომ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა გამოხატავს მშრომელთა ღვიძლ ინტერესებს.

ჩვენი გამარჯვებების ერთ-ერთი მთავარი პირობაა ხალხთა ლენინური მეგობრობა, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძველია. აჭარაში ქართველების გვერდით ახლა ორმოცზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები იღვწიან ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რესპუბლიკის აყვავებისა და განმტკიცებისათვის.

